საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-10/52

ქ. ბათუმი 12 აპრილი, 2023 წელი

ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა" სწავლის საფასურის და პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-24 მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 05 ოქტომბრის №02 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების კოორდინატორების დანიშვნისა და საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 11 ოქტომბრის №01-02/171 ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული გადამზადების პროგრამის **„მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა"** დამტკიცების შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 20 ივლისის №01-02/181 ბრძანების,** სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის **სახელმწიფო სააგენტოს** დირექტორის **2023 წლის 31 მარტის წერილის** (N100014652300347105), ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების **ცენტრის** პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების მიმართულების კოორდინატორის 2023 წლის 07 აპრილის №395275 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულების პროფესიული გადამზადების პროგრამის **,,მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა" სწავლის საფასური განისაზღვროს** ერთ მსმენელზე 880 ლარით (არანაკლებ 10 და არაუმეტეს 15 მსმენელის შემადგენლობით ჯგუფში).
2. განმახორციელებელი პერსონალის შრომის **1 საათის** შრომის ანაზღაურება (10-15 მსმენელის შემადგენლობით ჯგუფის შემთხვევაში) განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისათვის (ტრენერი/მასწავლებელი) - 50 ლარი;

ბ) პროგრამის სასწავლო პროცესის <u>ადმინისტრირების</u> განმახორციელებელი პერსონალისათვის (დამხმარე პერსონალი) - 25 ლარი.

3. **ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი** ,,ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამის ,,მცენარეთა ინტეგრირებული დაცვა" სწავლის საფასურის და პერსონალის

შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 13 მარტის **2023 წლის 13 მარტის N01-10/36 ბრძანება.**

4. წინამდებარე ბრძანების გათვალისწინებით მომზადდეს ბსუ-ს პროფესიული გადამზადების პროგრამაზე „ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ პირველადი ხარჯთაღრიცხვა.

5. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

6. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორს, რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძეს), ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საქმისწარმოების (კანცელარია) სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი,
ასოცირებული პროფესორი *მ. დიასამიძე*